სახალხო გაზეთი

№ 766 ოთხშაბათი, 5 დეკემბერი 1912 წ. № 766

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორის მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის
ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სახალხო გაზეთზე“

წელიწადი მეოთხე

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის-მომწერნი არიან, 1913 წლის განმავლობაში **მიიღებენ**

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები.

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის გამოჩენილ მწერლებისა, ზომით იქნება არა ნაკლებ **400 გვერდისა** და წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **იანვრის დასასრულს.**

2) ქართველი მწერლები.

ამ წიგნში შევა ქართველ მწერალთა სხვა და სხვა ნაწარმოებნი, როგორც პოეტური, ისე ბელეტრისტული ზომით იქნება არა ნაკლებ **500 გვერდისა** და წლიურ ხელის-მომწერთ **დაურიგდებათ ენკენისთვეში.**

გაზეთის ფასი როგორც ტფილისში, ისე მის გარედ ღირს წელიწადში ისევ 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ., ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის ფასი

	წლ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
ტფილისში და მის გარედ	8 მ. 50 კ.	8 მ. —	7 მ. 50 კ.	6 მ. 75 კ.	6 მ. —	5 მ. 25 კ.	4 მ. 50 კ.	3 მ. 75 კ.	3 მ. —	2 მ. 25 კ.	1 მ. 50 კ.	— 75 კ.
საზღვარ გარედ	11 მ. 50 კ.	10 მ. 75 კ.	10 მ. —	9 მ. —	8 მ. —	7 მ. —	6 მ. —	5 მ. —	4 მ. —	3 მ. —	2 მ. —	1 მ. —

ცალკე ნომერი ყველგან შაური; დამატებიანი ნომერი შვიდი კაპიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიიღებს **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური.** ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის-მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე . . . . 3 მ.,
1 აპრილამდე . . 2 მ.,
1 თიბათვემდე . . 2 მ.,
1 ენკენისთვემდე . 1 მ. 50 კ.

2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია:

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს.

2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა.

3) **ფოსტით.** Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети“. поч. ящ. 190.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ქ-ნ ნ. შ. დავითაშვილის ბენეფისი

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს,

ქართ. დრამატ. საზოგად. დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **ნ. შ. დავითაშვილის** საბენეფისოდ პირველად ქართულ სცენაზედ ახალი ორგინალური პიესა **ნ. შიუკაშვილისა**

ციცინათელა

დრამა 4 მოქმედებად.

ბაბოს როლს შეასრულებს—**ნ. დავითაშვილი**, ლევან მესხიშვილისას—**ვლ. ალექსი-მესხიშვილი**, ციცინათელასას—**ტ. აბაშიძე.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, შოთაძე. ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, გუნია, მგალობლიშვილი, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილ. ფასი **საბენეფისოა.**

ა ნ ო ნ ს ი: კვირას, 9 დეკემბერს, **მეორედ** წარმოდგენილი იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით **ვალ. შალიკაშვილის პიესა „გადაჭრილი მუხა“.**

1623 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღლაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი [illegible] 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) [illegible] **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. ე. ა **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) 11½ 12½.
ქალთა და საშოსნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულპკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

I ტ	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“	ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრიობა“	„	80 კ.
III „	„ნააზრევი“	„	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.	„	85 კ.

წელიწადი მეთხუთმეტე.

დამყნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე

ს ა ნ დ ო,

გიორგი მ. ჩივაძისა

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ 1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.**

1586

ქუთაისი — [illegible] მაშია [illegible] ჩასახვევ-ვი, ფშავაძის სახლი.

გაგრძელდება დაკვეთა 1913 პირველ იანვრამდე:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, ვისაც დასაკვეთ ფულის ნაწილი უკვე შემოტანილი აქვს დანარჩენი ფული უსათუოდ 1913 წ. პირველ იანვრამდე უნდა გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას და შემოტანილ ფულისას. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებ დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

ექიმი ს. ი. გძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„მამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მებრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხ.). **ტელეფ. 7—92.** 847

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს.** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფი[illegible], კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“ 1012.

ნაციც-ვექილ. თანაშ. გიორგი პავლეს ძე გორდეზიანი

გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115. დიდუბე 1049

ექიმი ი. კ. აბაკელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ი. ე. ჯაში **განაგრძობს** ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ჭლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. ბაბაშვილისა.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—12 ს. საღამ. 5—7. 1045.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო.)

2 დეკემბრის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

გამოაცხადეს განსახილველი საკანონმდებლო მოსაზრებანი. ამ პროექტებს საფუძვლად უდევს თანასწორი პასუხის-მგებლობა კანონის წინაშე სქესის განურჩევლად, სათათბიროს არჩევნების დებულებათა შეცვლა, თავისუფლება სინიდისისა, კავშირისა, კრებისა და ბეჭდვისა, პიროვნების ხელშეუხებლობა, მართლმადიდებელთა ეკლესიების ასაშენებლად ფულის გაცემა.

კრუპენსკის შეაქვს რიგს გარეშე განცხადება. წაიკითხა მიღებული საბუთი, რაც ნათელ-ჰყოფს დონის ოლქის არჩევნებში მომხდარ უთანხმოებას. ეს საბუთი გადაეცემა მერვე განყოფილებასაო.

სათათბირო შეუდგა შეკითხვის სიჩქარის განხილვას. შეკითხვა ჰგულისხმობს 14 აგვისტოს 1881 წ. დებულებათა უკანონო სარგებლობას სახელმწიფო წეს-რიგის დაცვაში.

აჯემოვმა განიხილა საგანგებო დებულებათა საკითხის ისტორია. სახელმწიფო წესიერების დაცვის კანონი არის უნიადაგო კანონიო. 1906 წელს გამოიცა ძირითადი კანონები, რომლის ძალითაც ყველა კანონს, თუ იგი არ არის მოწონებული საკანონმდებლო დაწესებულების მიერ, ძალა ეკარგება. მაშასადამე ეს დებულება უნდა შეტანილ იქმნას სათათბიროში, ან თუ არა გამოიცეს ძირითადი კანონების 87 მუხლის მიხედვით. 1905 წელს თვით მთავრობამ აღიარა—ცხოვრების პირობებმა ძველ მართვა-გამგეობის წესს გაუსწრესო და დაადგინა, ახალი წესის შემოღება ქვეყნის დახმარებით. ამ დროს განაგრძობს არსებობას ის წესი, რომელსაც არავითარი კანონიერი ნიადაგი არა აქვს, რომელიც არღვევს უფლების ავტორიტეტს: ადმინისტრაციის განკარგულებანი კანონს უკან აყენებს. ამ ახალ გადასახადებსაც კი ადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ კანონმა ბეჭდვითი სიტყვას თავისუფლება მიანიჭა, პრესა ეხლა უფრო აუტანელ პირობებშია ჩაყენებული, ვიდრე როდისმე ყოფილა. ეს იმით აიხსნება, რომ წინანდელი ცენზურა გუბერნატორის ნება-ყოფლობად შეიცვალაო. კანონმა ბეჭდვითი სიტყვის გამო ჯარიმები მოსპო, საგანგებო დადგენილებათა ძალით კი ჯარიმა ასი ათას მანეთობით განიზომება. საგანგებო დადგენილებათა საკითხზე მწვავე, მღელვარე და აღმაშფოთებელი მთელ რუსეთისა სხვა საკითხი ჯერ არ არსებობსო. საჭიროა შეკითხვა საჩქაროდ განიხილოს (მარცხნივ ტაშის ცემაა).

შუბინსკი. ეხლა შეკითხვის არსებითად განხილვა არ შეიძლება, რადგანაც სათათბიროს ჯერ არ მიუღია. შეკითხვის საჩქაროდ განხილვა, ოქტომბრისტების აზრით შეუძლებელია, რადგანაც საამისო მასალა აუარებელი და რთულია. საჭიროა გადავათვალიეროთ კანონმდებლობათა მთელი წყება, გამოვარკვიოთ მრავალი სადაო საკითხი, რაც ამ შეკითხვისგან გამომდინარეობს. ამის გაკეთება მხოლოდ კომისიაში შეიძლება. ფრაქციას ესმის ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა და მოითხოვს მიეცეს კომისიას განსაზღვრული დრო მოხსენების წარმოსადგენად. მოხსენება უნდა წაკითხულ იქმნას საშობაო დასვენების შემდეგო.

მასლენიკოვი. 17 ოქტომბერს 1911 წელს ამ გვარივე შეკითხვა მესამე სათათბიროს უმრავლესობამ მიიღო. მათ რიცხვში ოქტომბრისტებმაცო. შუბინსკის სიტყვა გაუგებრობას იწვევს. მისი საბუთები კრიტიკას ვერ უძლებსო. ეს მხოლოდ შეიძლება აიხსნას საქმის გაჭიანურების და შეფერხების სურვილით. პროგრესისტები მომხრენი არიან შეკითხვა საჩქაროდ განიხილოსო.

ზამისლოვსკი. თვით კადეტებიც აღიარებენ საგანგებო დადგენილებათა აუცილებლობას, როგორც სახელმწიფო წყობილების საჭიროებას. საკითხი მხოლოდ იმაშია, დასაკმაყოფილებელია არსებული დადგენილებანი თუ არა იმას, რომ ეს დადგენილებანი სრულიად უვარგისია, არც მთავრობა და არც მემარჯვენენი უარს არ ჰყოფენ. აქედან მხოლოდ ერთი მომდინარეობს: საჭიროა მუშაობა შესაფერ კანონპროექტების შესამუშავებლად. მესამე სათათბირომ კეთილ არ ინება და არ შეიმუშავა ეს კანონ-პროექტები, სათათბიროს კომისიას კი, პიროვნების ხელშეუხებლობის საკითხის განხილვა რომ ჰქონდა მინდობილი, ორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეკრებილაო. არსებობს მესამე სათათბიროს კომისიის მოხსენება საგანგებო დადგენილებათა თაობაზეო. თუ საკანონმდებლო მუშაობის მემკვიდრეობითი საკითხი მიღებული იქნება, მოხსენების განხილვა, როგორც გნებავთ, ისე შეიძლებაო, მემარჯვენენი საჩქარო განხილვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას, რადგანაც საჩქაროდ განხილვა საკითხისა საკანონმდებლო დაწესებულებას მეტად ჰხდისო.

სოციალ-დემოკრატების და შრომის ჯგუფის სახელით **სკობელევმა** და **ტერენსკიმ** განაცხადეს შეკითხვის საჩქაროდ განხილვის მომხრენი ვართო.

კენჭის ყრით უმრავლესობამ საჩქაროდ განხილვა უკუაგდეს. უმრავლესობას შეადგენდა ცენტრი და მემარჯვენეები. ვადის დანიშვნა მემარჯვენეთა წინააღმდეგობით, სათათბირომ მიიღო.

4 საათსა და 15 წუთზე დაიწყეს კითხვა 44 დეპუტატის შეკითხვისა. შეკითხვის ავტორნი კადეტები არიან, იგი შეიცავს 130 ფურცელს და მიმართულია შინაურ საქმეთა და იუსტიციის მინისტრებისადმი და სინოდის ობერ-პროკური საბლერისადმი. შეკითხვის საგანია მეოთხე სათათბიროს არჩევნებში მომხდარი უკანონობა და ადმინისტრაციის თვითნებობა. შეკითხვას ჯერ-ჯერობით კითხულობენ სათათბიროს მდივანი **დმიტრიუკოვი**, მისი ამხანაგები: **ბასაკოვი, ლვოვი** და **ენიკეევი.** საღამოს ექვს საათამდე შეკითხვის კითხვა არ გათავებულა. **თავმჯდომარემ** წინადადება მისცა შეკითხვის კითხვა გადაიდოს ოთხშაბათ საღამომდე, რადგანაც ოთხშაბათ დილით მოსასმენია მთავრობის დეკლარაცია.

მარკოვი მეორე. 130 ფურცლიან შეკითხვის კითხვა საკანონმდებლო მუშაობის დროს წმინდა ობსტრუქციაა; შეუძლიანთ შემოიტანონ 10.000 ფურცლიანი შეკითხვა, მაშინ სათათბიროს იმის წასაკითხად ორი თვე მოუნდება. წინადადებას ვიძლევი, შეკითხვა ცალკე ფურცლებად დაიბეჭდოს და სათათბიროს წევრებს დაურიგდესო (ცენტრში და მარჯვნივ ტაშის ცემაა).

ბულგინი. ნაკაზის მიხედვით ვადიანი შეკითხვა უნდა წაკითხული იყოს, რადგანაც კენჭის ყრა მოგვიხდება და კი არ გვეცოდინება არსებითად საქმე რა არის. მომავალში რომ ავიცილოთ თავიდან სათათბიროს მასხარად აგდება, უნდა შევცვალოთ ნაკაზის ის ადგილი, ვადიან შეკითხვას რომ ეხება.

შინგარიევი. ამ შემთხვევაში სათათბიროს მასხარად აგდებას სრულიად ალაგი არ აქვს. შეკითხვა შინაარსით სავსებით შეეფერება იმ რთულ საქმეს, რაც შეკითხვის საგანს შეადგენსო. არც ობსტრუქციის მიზნისთვის არის შეტანილი შეკითხვაო, რადგანაც ეს შეკითხვა რომ არ შეგვეტანა სათათბიროში საქმის უქონლობის გამო სხდომა არც კი შესდგებოდა. შეკითხვის საჩქაროდ განხილვა ყველა პარტიისთვის ერთნაირად საჭიროა (ტაშის ცემა მარცხნივ).

ზამისლოვსკი. ტყუილია შინგარევის რწმუნება, ვითომც სათათბიროს არავითარი საქმე აქვსო. არჩეულია უკვე საბიუჯეტო კომისია და ეხლავე შეგვიძლიან საქმეს შეუდგეთ. საბიუჯეტო კომისიას არ შეუძლიან იმუშავოს საერთო სხდომის დროს. თუ შეკითხვა მართლა რთულია, მით უმეტეს, მისი საჩქაროდ განხილვა არ შეიძლებაო (მარჯვნივ ტაშის-ცემა).

თავმჯდომარის წინადადება ოთხშაბათ საღამოს განაგრძონ შეკითხვის წაკითხვა მიიღეს.

ლოგინოვი. ლაპარაკობს რიგს გარეშე. კრუპენსკის მიერ წაკითხული დეპეშა დონის ოლქის არჩევნებში მომხდარ უკანონობის გამო, სინამდვილეს არ შეეფერება.

ვორონკოვი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან კითხულობენ შეუმოწმებელ საბუთებსო. დონის ოლქის წარმომადგენელნი თვით მოითხოვენ, რაც შეიძლება დაწვრილებით გამოიძიონ დონის არჩევნების მიმდინარეობა. (ტაშის-ცემა მარცხნივ).

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი,** რომელიც ბაქოში იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

◆ **ნამესტნიკის საბჭოს** კრება დღეს მოხდება. სხვათა შორის განიხილავს მიხეილის საავადმყოფოს 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭომ მეფის მოადგილის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება დართოს, მომავალ კრების პროგრამაში შეიტანოს საკითხი პოლიტეხნიკუმისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

◆ **დეპუტატ ვ. გელოვანის წერილი.** პეტერბურგულ გაზეთ „დენ“-ის მე-58 ნომერში დაბეჭდილია დეპუტატ გელოვანის წერილი დეპუტატად ნამყოფ ე. გეგეჭკორის წერილის საპასუხოდ. წერილს ქართულად ხვალინდელს ნომერში სრულიად დავბეჭდავთ.

◆ **თოვლი.** ტფილისის მახლობლად მდებარე მთებზე თოვლი დასდო.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** განხილვას ქალაქის საბჭო პარასკევიდან, 7 დეკემბრიდან, შეუდგება.

◆ **ქალაქის ლომბარდისა და სააუქციონო** დარბაზის მოქმედების გაერთიანების პროექტის შემდგენელ კომისიის წევრებად ქალაქის საბჭომ შემდეგი ხმოსნები აირჩია: ა. ნ. მილოვი, ს. თ. ქრელაშვილი, მ. ა. ჯაბარი, სულხანოვი, თამამშევი, გაიდამაკინი და ბაღდასაროვი.

◆ † **ნ. პ. ქოქჩაევი.** 3 დეკემბერს, ღამით, ტფილისში გარდაიცვალა ტფ. ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფი სტატსკი სოვეტნიკი ნიკოლოზ პეტრეს ძე ქოქჩაევი, რომელიც ერთ ხანს ქალაქის მოურავის თანამდებობასაც ასრულებდა. განსვენებული დაიბადა 1854 წელს. გაათავა ნოვოროსიის უნივერსიტეტის საიურიდიო ფაკულტეტი. 1875 წელს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ დანიშნეს. 1880 წელს სურამის მაზრის უფროსად გადავიდა. 1886—1901 წლებში საგუბერნიო სამმართველოს უფროს მრჩევლად იყო. 1897, 1898 და 1899 წლებში განჯის ვიცე-გუბერნატორის თანამდებობას ასრულებდა. 1901 წელს სამსახურს თავი დაანება, 1902 წელს ტფ. ქალაქის გამგეობის წევრად აირჩიეს. ამ თანამდებობას თავი წელს დაანება. უკანასკნელს ხანს განსვენებული ჭკუაზე შეირყა და საავადმყოფოში იწვა.

◆ **ტუსაღების გაქცევა საგუბერნიო საპყრობილედან.** 3 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, საგუბერნიო საპყრობილის სათერძო სახელოსნოდან ჩუმად გაიპარნენ შემდეგი ტუსაღები. 1) ხონის მცხოვრები გიორგი სვიმონის ძე ქუთათელაძე (იგივე ანდრია შენგელია), რომელსაც ტფ. ოლქის სასამართლომ ამ წლის 15 ოქტომბერს 5 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა, გორის ხაზინის ქვეშ თხრილის გაყვანაში მონაწილეობისთვის, 2) ნიკოლოზ კოვალენკო, რომელსაც ქურდობა ჰბრალდება, 3) ადესის მცხოვრები მარდკო აიზიკას ძე ვაგენფელდი რომელსაც ქურდობისთვის 3 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ჰქონდა გადაწყვეტილი და 4) დაღესტნის ოლქის მცხოვრები ბაშირ ომარ ოღლი, რომელსაც 3½ წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ჰქონდა მისჯილი. დაუყოვნებლივ პოლიცია მოვიდა და ალყა შემოარტყა კრწანისისა და ორთაჭალის ბაღებს, აგრეთვე ხევებს. თელეთის მთის ერთ-ერთს ხევში, ჩირგვებში პოლიციამ შეიპყრო ორი გაქცეულთაგანი: გიორგი ქუთათელაძე და ნიკოლოზ კოვალენკო.

◆ როგორც შევიტყეთ, კავკასიის მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მომწყობ სამმართველოს რწმუნებული ბ-ნი **პ. პ. არხიპოვი** გადაუყვანიათ და მის მოადგილედ დაუნიშნავთ ბ-ნი **შაშკოვსკი.**

◆ **თავის ჩამოხრჩობა.** 3 დეკემბერს მეჩექმემ არუთინ ნაზარის ძე სოგომონიანცმა (55 წ.) თავის სახელოსნოში თავი ჩამოიხრჩო.

◆ რედაქციამ მიიღო სამძიმრის დეპეშა პეტერბურგის ქართველთა სათვისტომოს გამგეობისაგან საზოგადო მოღვაწე **არისტო ქუთათელაძის** გარდაცვალებისა გამო.

◆ ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ობლად დარჩენილ პეტერბურგის საკომერციო კურსების მოსწავლე ქ-ნ **ნონო ვასილის ასულს სვანიძეს,** რათა გაზეთის საშუალებით მიჰმართოს საზოგადოებას დახმარებისათვის. მას სწავლის ფული (120 მან.) შესატანი ჰქონია და თუ ამ მომავალ იანვრისათვის არ შეიტანა, სასწავლებლიდან გამოჰრიცხავენ. შემოწირულება მიიღება ჩვენს რედაქციაში.

◆ **რედაქციამ მიიღო** ახალი წიგნი, **„ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“** შედგენილი **თ-დ ს. მ. ჩოლოყაშვილის** მიერ, გამოცემა დ. ე. ჩოლოყაშვილისა. წიგნი კარგი ენითაა დაწერილი, ჩართული აქვს ბევრი სურათები, კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 102 გვერდს და მხოლოდ ექვს შაურად ღირს.

◆ 3 დეკემბერს ტფილისში შეიპყრეს ცნობილი ქურდი პეტრე არშაკას ძე სუგიევი, რომელიც [illegible] იყო გადასახლებული, მაგრამ ტფილისში ნებადაურთველად ჩამოვიდა.

◆ 3 დეკემბერს ტფილისში 49 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულთა** კრება 7 დეკებერს, საღამოს 7 საათზე დაიწყება მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის შენობაში (დიდის მთავრის ქ. 17).

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, **ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრებაა** დანიშნული (კავკ. საიმპ. სამეურნეო საზოგადოების დარბაზში). კრება მოისმენს ქართლისა და კახეთის აგრონომთა მოხსენებას მომავალ სამოქმედო გეგმის თაობაზე. იგივე კრება მოისმენს აგრონომ გიორგი საყვარელიძისა და ელიზბარ კარბელაშვილის მოხსენებას, მცხეთაში მომხდარ ვლადიმერ ცაგარლის მიერ გამოგონილ ახალ გუთნის გამოცდის თაობაზე.

ქუთაისი

◆ ფინანსთა მინისტრის რწმუნებული საადგილ-მამულო ბანკში ბ-ნი სობრიევსკი პეტერბურგს გაემგზავრა, საცა დაესწრება რწმუნებულთა კრებას, რომელიც მოწვეულია ფინანსთა მინისტრის განკარგულებით.

◆ ქუთაისში პეტერბურგიდან ამბავი მოვიდა, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის წესდება, ფინანსთა მინისტრს არ დაუმტკიცებიაო იმ ცვლილებით, რომელიც შეტანილია მოსამსახურეთა და ბანკის რწმუნებულთა შეთანხმებით.

◆ წარსულ კვირაში ქუთაისის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია ბ-ნი დიდიმ ჩიქვაიძის საჩივარი ბანკის რწმუნებულთა დადგენილების შესახებ, რომ ბ-ნ ჩიქვაიძეს პენსია ეძლიოს არა დამფასებელის ჯამაგირის, არამედ ბუხჰალტრის თანაშემწის ჯამაგირის კვალობაზე. მოსამართლემ ბანკის რწმუნებულთა გადაწყვეტილება უკანონოდ იცნო და ბ-ნი ჩიქვაიძის საჩივარი დააკმაყოფილა. ჩიქვაიძის ინტერესებს იცავდა საადგილ-მამულო ბანკის ყოფილი ბუხჰალტერი ბ-ნი ონისიმე სვანიძე.

◆ ქალაქის თავი ბ-ნი ჩიქოვანი დიდის გულმოდგინებით შეუდგა ჩვენი ბულვარის გაუმჯობესებას. ამისათვის ას გამოუწერია ფოთიდან და ბათომიდან მრავალი ტროპიკული მცენარე ბულვარში დასარგავად. გარდა ამისა მავთულის ღობეები განაახლებინა დ აქ მოთავსებული თავისუფალი ადგილები გადააბარვინა კოინდრის და ყვავილების დასათესად. ამასთან ბაღის ყურის საგდებლად მოუწვევია გამოცდილი მებაღე, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს მებაღეობის მცოდნეთაგან შემდგარი კომისია.

◆ სამართალში მიცემული ექიმები **ხიანი და ჩხენკელი,** რომელთაც ბრალდებოდათ ყალბი მოწმობების გაცემა იმ მიზნით, რომ დაზღვევის პრემია მიეღო სხვა და სხვა პირებს, სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო.

◆ შაბათს **ქალთა წრის კრებაზე** ბ-ნმა ანტონ ფურცელაძემ წაიკითხა თავისი ისტორიული პოემა „თამარ ლაზნელიდან“ ნაწყვეტები, სადაც დახასიათებულია მე 17 საუკუნის ქართველი ქალი. დასახელებულ წრის მიზნად დაუსახავს ყოველ მხრივ გამოარკვიოს და შეისწავლოს ქალთა საკითხი და ამისთვის, სხვათა შორის, ეცნობა როგორც მშობლიურს, აგრეთვე რუსეთელ და უცხო ხალხთა ქალთა ტიპებს.

◆ მეორე დღეა **ქუთაისში თოვს.** შეშისა და სანოვაგის ფასმა აიწია.

◆ გუშინწინ საფირჩხიის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ტრაგიკულად გადაცვალებულ დორპატის სტუდენტის **დათიკო ულენტის** ცხედარი.

◆ ყელჭირების გავრცელების გამო, **ბათომის გიმნაზიაში** მეცადინობა დროებით შესწყვიტეს.

◆ **ბაქოს ქალაქის გამგეობამ** მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა შეიმუშავა. განათლების საქმეზე 500,000 მანეთია გადადებული. „იმერეთი“)

ჟურნალისტის დღიური

104.

ათონის მონასტერი.

ათონის ქართველთა მონასტერს თავისი დიდი ისტორია აქვს. ისტორიული ღვაწლი ამ მონასტრისა ყოველთვის იზიდავდა საქართველოდან ბერებს. მაშინ, როდესაც კულტურული ცხოვრება მონასტრებში სწარმოებდა, როდესაც მწიგნობრობას ბერები უძღვებოდნენ, ათონის ქართველთა მონასტერშიაც ბევრი საყურადღებო და ძვირფასი მასალა მოგროვდა. თან და თან ქართველ ბერებს ხელიდან გამოეცალათ ეს მონასტერი და პატრონებიდან სტუმრებად გადაიქცნენ. მონასტერს ბერძენი ბერები დაეუფლნენ. მიუხედავად დევნისა, ქართველმა ბერებმა ფეხი არ მოიკვეთეს ათონზე, მათი რიცხვი დღეს ორმოც კაცამდე მიდის. საკუთარის ინიციატივით, შრომათა და სხვათა დახმარებით ათონის ქართველმა ბერებმა შექმნეს იოანე ღვთისმეტყველის სახელობის მონასტერი. დღეს ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ ადვილად შესაძლებელია ბერებმა არამც თუ ვერ დაიბრუნონ ათონის ივერიის მონასტერი, არამედ დაჰკარგონ ისიც კი, რაც საკუთარის შრომითაა მოპოვებული.

ათონის მონასტერში დიდი სიმდიდრეა დაცული. ამ მონასტერს კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში, დღესაც არ არის იგი მოკლებული მნიშვნელობას ქართველობისთვის.

საქმეს ართულებს მხოლოდ ის გარემოება, რომ ათონის მონასტერი სხვა სახელმწიფოსია და ჩვეულებრივ იურიდიულ საბუთების მიხედვით დავის ატეხა ძნელდება. მაგრამ, როგორც საქმესთან დაახლოვებული პირნი ამბობენ, მაინც არის საშუალებანი საკითხის აღძვრისა. თუ ვისმეს რამის გაკეთება შეუძლიან, დაგვიანება აღარ ივარგებს.

შინაური.

კახეთის რკინის გზის გამო

როგორც გავიგეთ, ხუთშაბას, 6 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე განზრახულია კერძო კრების გამართვა კახეთის რკინის გზის საკითხის გამო დეპუტატთა საკრებულოში. ამ საკითხმა ფართო საზოგადოებაც დაინტერესა. ამიტომ კარგი იქნება, თუ დეპუტატთა საკრებულოს მესვეურნი, ჩვეულებისამებრ, მაგრა არ ჩაიკეტავენ კარებს და კრებაზე მოიწვევენ არა მარტო იმათ, ვინც პირდაპირ ახლო სდგანან დეპუტატთა საკრებულოსთან, არამედ პრესის წარმომადგენლებსაც. კახეთის რკინის გზა და ყველა მასთან დაკავშირებული საკითხი საზოგადო საქმეა, და საზოგადოებასაც აქვს უფლება იცოდეს ყველაფერი.

ქუთაისის ავ-კარგი

შავი ქვის მრეწველთა ორი კრება უკვე მოხდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნი გ. ზდანოვიჩის მოხსენებას საბჭოს მოქმედების შესახებ, თვალსაჩინო არა მომხდარა-რა. კრებას მრეწველთა მცირე რიცხვი ესწრება; მოსალოდნელია ორშაბათს, 3 დეკემბერს, ჭიათურიდან მივიდეს ხალხი, რადგან ამ დღეს რკინის გზის კითხვები გაირჩევა, რკინის გზის წარმომადგენელთა. თანადასწრებით.

მანამდის-კი აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ 1 დეკემბრის, მრეწველთა კრებამ გადასწყვიტა ყოველ კვირეული ბიულეტენები გამოსცეს საბჭომ შავი ქვის მრეწველობის შესახებ. სხვათა შორის ამ ბიულეტენებში მოთავსებულნი უნდა იყვნენ ცნობები მადნის ფასების შესახებ ევროპაში. ამ კითხვას დაწვრილებით კრება ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს გამოარკვევს. ზოგიერთი ჰფიქრობს, რომ ამ გამოცემას ფართო ხასიათი უნდა მიეცეს და საზოგადოთ სამრეწველო ხასიათის ორგანოს სახე.

⁂

კერძო [illegible] თათბირი ჰქონდა ქალაქის გამგეობის წევრის არჩევის [illegible] დღემდი არსებობდა განსაზღვრული სია კანდიდატების და ყველას ეგონა, რომ ქ. ხმოსნები კანდიდატს ქუთათურთაგან დაასახელებდნენ. აღმოჩნდა, რომ ქუთათურების გარეშეც არსებობს კანდიდატი და თან ისეთი, რომ მისი დასახელება და მიღება ერთი იყო. ეს კანდიდატი გახლავთ ინჟენერი ვანაძე, რომელიც თურმე ტფილისის ქალაქის თვითმმართველობაში მუშაობს. მისმა მცნობმა ხმოსნება კარგის მხრით დაახასიათეს იგი და ეს საკმაო გახდა მისთვის, რომ 12 ხმა მიელო იმ დროს, როცა ქუთათურმა კანდიდატებმა 7 ხმაზე მეტი ვერ მიიღეს, და დანარჩენებმა ამაზე ნაკლებიც.

⁂

დავესწარი ქ-ნი ნინო ჩხეიძის ბენეფისს. მიუხედავად იმისა, რომ ხალხმა თეატრის დარბაზი სავსებით გაავსო, საბენეფისოდ არჩეული პიესა შესანიშნავი შეთანხმებით შეასრულეს მსახიობებმა. საზოგადოებას ის აღფრთოვანება არ ეტყობოდა, რომელიც ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი დამსახურებული არტისტების ბენეფისებზე. ამას ზედ ის დაერთო, რომ უკანასკნელ მოქმედების დროს ფარდა უდროვო დროს ჩამოუშვეს. საბენეფისო პიესა ჩვენმა არტისტებმა, როგორც ზევითაც ვთქვი, კარგად შეასრულეს, მაგრამ კერძოდ არ შემიძლიან არ აღვნიშნო ბ-ნი არადელი-იმხნელის თამაში რაპოპორტის როლში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბ-ნი იმხნელს გრიმი უფრო ახალგაზდა კაცისა გაეკეთებინა, ვიდრე პიესა მოითხოვდა, მისი თამაში ყოველის მხრით უნაკლულო იყო; განსაკუთრებული ყურადღება მსახიობის თამაშმა დაიმსახურა სიმთვრალის სცენაში. ერთი მოძრაობითაც არ გადაუჭარბებია და სცენა ისეთი ხელოვნებით გაატარა რომ საერთო კმაყოფილება გამოიწვია.

ბ-ნი არაბიძე ელქუნას როლში მოსაწონი იქნებოდა, რომ ებრაული კილოსათვის მინებებინა თავი და ჩვეულობრივი ქართულით შეესრულებინა თავისი როლი ებრაული ტიპიური მიხვრა-მოხვრით.

ს. ე. ს.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება.

შაბათს, 1 დეკემბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა ქართულ სამეურნეო საზოგადოების წევრთა კერძო თათბირი გარეშე პირთა მონაწილეობით. თათბირის მიზანი იყო გამორკვია აგრონომების მომავალი წლის მოქმედების გეგმა. კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო. ბევრი დამსწრეთაგანი არ იყვნენ დაკმაყოფილებულნი აგრონომების წარსულ მოქმედებით და ურჩევდნენ ახალი გეგმის საფუძვლად არ დაედოთ აგრონომების წარსული მოქმედება.

თავმჯ. ამხანაგი **ს. რ. ვახვახიშვილი** ვრცლად შეეხო აგრონომების მოქმედების ორგანიზაციას. შარშან შემუშავებულ გეგმას საფუძვლად დაედო საზღვარ-გარეთ შემოღებული სისტემა ეგრედ წოდებული „მმოძრავი კათედრა“. მაგრამ რადგან აქაური ნიადაგი შესამჩნევად განსხვავდება საზღვარ-გარეთისაგან, ამიტომ აქ შესაფერი ცვლილებაც იქნა შეტანილი. ორატორი ვრცლად შეეხო აგრეთვე ქართველ მეურნეთა მოუმზადებლობას და აღნიშნა, რომ მმოძრავი კათედრა მხოლოდ საზღვარ-გარედ არის გამოსადეგი, რადგან იქ პირველი საფეხურები ყოველ მეურნეს გავლილი აქვს, ყოველ ოჯახში მოსიარულე აგრონომს დახვდება მზა ნიადაგი. ჩვენში კი ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ ე. ი. პირდაპირ მეურნეობის რეორგანიზაციაა საჭირო. ამიტომ ორატორის აზრით საჭიროა მოეწყოს საცდელი საჩვენებელი მინდვრები განსაზღვრულ ადგილას.

წინააღმდეგი აზრისანი იყვნენ **ვ. ი. რცხილაძე, ი. ქუთათელაძე** და **ს. ნ. ყაზახაშვილი,** რომელნიც ამტკიცებდნენ: აგრონომიული დახმარება უნდა მოეწყოს ფართე რაიონში გორისა და დუშეთის მაზრაში მაინცაო. და ამ დიდი რაიონის მიხედვით შეიმუშავონ აგრონომების მომავალი მოქმედების გეგმა. მუშაო-

ბას უფრო მაჩვენებელი ხასიათი უნდა ჰქონდეს. საცდელი მუშაობისათვის არც ძალები ჰყავს საზოგადოებას და არც ღონე აქვს.

კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ აგრონომებმა სადღეისოდ დანიშნულ საბჭოს კრებაზე წარმოადგინონ საბოლოოდ შემუშავებული გეგმა.

ქართული საღამო დონის-როსტოვში.

როსტოვის ქართველთა კოლონიას 24 ნოემბერს გაუმართეს ქართული ეროვნული საღამო. როგორც იქაური გაზეთები გადმოგვცემენ, საღამოს მშვენიერად ჩაუვლია. მოგვყავს „პრიაზოვსკი კრაი“-სა და „იუჟნი ტელეგრაფ“-ის ანგარიშები. „პრიაზოვსკი კრაი“ სწერს: „24 ნოემბერს როსტოვის კლუბში ქართული საღამო გაიმართა. გამარჯვება სრული იყო. ხალხი გაცილებით იმაზე მეტი მოვიდა, რაზედაც თვით გამმართველები ოცნებობდნენ. კლუბის მთელი სადგომი გაჭედილი იყო ხალხით. ბევრს, უადგილობის გამო, ბილეთები აღარ მიჰყიდეს. დარბაზი და ვესტიბიულები მორთული იყო აღმოსავლეთის სტილით ხალიჩებით. კედლებზე ჩამოკიდებული იყო სურათები ქართველ პოეტებისა: რუსთაველისა, აკაკი წერეთლისა, ჭავჭავაძისა და სხვებისა. ეკიდა აგრეთვე ნაციონალური დასაკრავები. საკონცერტო განყოფილება დაიწყო ხორომ ბ-ნ გ. მ. დავიდოვსკის ლოტბარობით. იმღერეს რამდენიმე სიმღერა ქართულ ენაზე. ი. კ. რუტკევიჩმა იმღერა ქართული რომანსები. ქ-ნმა თ. ძნელაძემ მშვენივრად დაუკრა სკრიპკაზე „ბაიათი“ და „ორიენტალი“ ყარაშვილისა. მ. ს. შოლოვიჩმა როიალზე დაუკრა ლისტის მეთორმეტე რაპსოდია; ქ-ნმა დოვიატმა იმღერა რამდენიმე ქართული რომანსი კარგარეთელისა და ფალიაშვილისა. საკონცერტო განყოფილება დაასრულა ისევ ხორომ, რომელმაც შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. საზოგადოებას განსაკუთრებით მოეწონა „ნანინა“ და „ცანგალა და გოგონა“, მუსიკა ზ. ფალიაშვილისა. ეს უკანასკნელი სიმღერა, მთელი დარბაზის დაჟინებულის თხოვნით, გაიმეორეს.

შემდეგ პატარა დარბაზში ითამაშეს ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და გამართეს კაბარე „დუქანი ტფილისში“. კაბარეში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივ კოლონიის წარმომადგენელნი, გამოწყობილნი ეროვნულ ტანისამოსში, ცეკვავდნენ კინტოურს, ლეკურს, უზუნდარას და სხვ. საღამომ ცოცხლად ჩაიარა. წმინდა შემოსავალი გადაეცემა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

ასეთივე შინაარსის ანგარიშია დაბეჭდილი „იუჟნი ტელეგრაფ“-ში.

ხმა პეტერბურგიდან.

ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში ქართველ სტუდენტების რიცხვმა იმატა. წელს თითქმის ორმოცს აღემატება. ჰსურდათ შეერთებოდნენ უნივერსიტეტის ქართულ სათვისტომოს, მაგრამ დღევანდელი რეჟიმის გამო, არ მოხერხდა, ამასთან არც ტეხნიკურად ხერხდებოდა, ამის გამო თვითონ დაარსეს კერძოდ. გასულ ოქტომბერში ჰქონდათ კრება, რომლის დროსაც ამოირჩიეს გამგეობა ხუთი კაცისაგან. გამგეობის თავმჯდომარედ — ა. ჩხაიძე, თავმჯ. ამხანაგად დ. ჩხეიძე, მდივნად — მ. აბრამიშვილი, ხაზინადარი — ქ-ნი ნიკოლაიშვილი. ეს მეორე წელიწადია არსებობს სამეცნიერო წრე, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ბ-ნი ი. ყიფშიძე. ქართული ბიბლიოთეკაც აქვთ, თუმცა უსახსრობის გამო ბევრი ისეთი თხზულებები აკლიათ, რომელიც ქართველის სულსა და გულს შეადგენს. ორი ქართული გაზეთიც მოსდით „სახალხო გაზეთი“ და „იმერეთი“. დიდი ყურადღების ღირსია ასეთი დაწესებულება და არ იქნება ურიგო ამ ახლად ნორჩ კულტურულ საქმეს დახმარება აღმოუჩინონ წიგნების შემოწირვით.

სათვისტომოს გამგეობამ თხოვნით მიმართა პროფესორ სპერანსკის, რომელმაც აღუთქვა მოკლე ხანში სათვისტომოს სასარგებლოდ ლექციის წაკითხვა შემდეგ თემაზე: „ქალის ბედი“. განძრახული აქვთ ქართული საღამო გამართონ, რომლის ჯეროვან პროგრამის შედგენას უკვე შეუდგნენ. უსურვოთ მჭიდრო კავშირი და მუყაითობა.

დ. ჩხეიძე.

ავსტრიის სამხედრო ძალა

ბალკანეთის ომმა მრავალი რთული და ძნელად გადასაწყვეტი საკითხი აღძრა, თუმცა ევროპის დიპლომატიამ იმ თავითვე ვითომ შესძლო ომის ასპარეზის ვიწროდ შემოფარგვლა და დროებით გაანელა ევროპის საერთო ცეცხლის აგიზგიზება, მაგრამ ამგვარი საფრთხე დღესაც ემუქრება „მშვიდობიანობის მოტრფიალე“ დასავლეთს. განსაკუთრებით თავგამოდებულია ავსტრია-უნგრეთი, რომელიც ვერ შეჰრიგებია იმ გარემოებას, რომ გუშინდელი მისი მონა ეკონომიურ დამოკიდებულებით, — პატარა სერბია — თამამად მიილტვის ადრიატიკის ზღვისაკენ, რათა თავისუფალი გზა მისცეს თვისი ქვეყნის ნაწარმოებს მსოფლიო ბაზარზე და ამ რიგად თავი დააღწიოს ავსტრიის ეკონომიურ ტყვეობას. რასაკვირველია. დიდ ავსტრიას არ გაუჭირდებოდა თვითონვე პაწია სერბიის დატუქსვა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბალკანეთის სლავიანთა სახელმწიფოებს და კერძოდ სერბიასაც ზურგს უმაგრებს დიდი რუსეთი; რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მათ მფარველ — ქომაგად ითვლება. ავსტრია კარგად გრძნობს ასეთ ძალთა განწყობილებას და ეს ერთი ხანია გაცხარებით ემზადება საომრად; თუმცა სამზადისის სარჩული ოფიციალურად სერბიის უთანხმოებაა, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ მთელი მისი მუქარა რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული. თუ ავსტრიისა და გერმანიის პრესას დაუჯერეთ, ომი, დღეს არა ხვალ, მოსალოდნელია. ამიტომ არ იქნება ერთგვარ ხალისს მოკლებული, თუ გავითვალისწინებთ ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ძლიერებას, რომლის მაღალ ღირსებაზედაც ხშირად ლაპარაკობს ავსტრიის სამხედრო პარტია ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მეთაურობით.

სამხედრო ბეგარა ავსტრიაში საყოველთაო და პირადია, ჯარში იწვევენ 21 წლისას, სამსახურის ვადა 12 წლითაა განსაზღვრული: ორი წელიწადი თოფ ქვეშ, ხოლო ათი სათადარიგო ჯარში ითვლება. ცხენოსან ჯარში სამი წლის ვადაა. ამ ბოლო დროს სამხედრო სამინისტრომ აღძრა საკითხი სამსახურის ვადის შემცირებაზე ათ წლამდე, მაგრამ ეს კანონი ჯერ არ არის შემოღებული. ჯარი შესდგება მომქმედი ნაწილისა და ეგრედ-წოდებულ „ერზაცისაგან“ (სათადარიგო), რომელსაც თავის მხრით ემატება კიდევ განსაკუთრებული ლაშქარი. ის პირნი, რომელნიც ჯარში არ მოხვდნენ, მილიციაში (ლანდშტურმი) ირიცხებიან. ყოველ წელს იწვევენ 212.400 კაცს, რომელიც ერთი წლის ძველებთან ერთად შეადგენს 450.000 ჯარის კაცს მშვიდობიანობის დროს. რადგან ჯარის ერთეულების შესადგენად მიღებულია ტერიტორიალური წესი, ე. ი. ყოველი ტომის ხალხი, რომელიც ავსტრო-ჰუნგრეთში სცხოვრობს, ცალკე პოლკებს ადგენს, ამიტომ წარმოსდგა 16 გერმანული პოლკი, 19 უნგრეთული, 9 რუსული (გალიციური) 15 ჩეხური, 9 პოლონური და 7 რუმინული. როგორც ვიცით, მთელი სახელმწიფო ორ განკერძოებულ ნაწილისაგან შესდგება, რომელსაც თავისი საკუთარი მმართველობა აქვს — ავსტრიისა და უნგრეთისაგან; ამიტომ სახელმწიფოს სამხედრო ძალაც სამ ნაწილად იყოფა, რომელსაც თავისივე სამხედრო სამინისტროები განაგებენ: საიმპერატორო ჯარი, ავსტრიის ლანდვერი და უნგრეთის გონვედი. ჯარის სავარჯიშო ენაც საძგვარია: საიმპეროსა და ლანდვერში გერმანული, გონვედში უნგრული და ოთხ პოლკში ხორვატული.

საიმპერიო ქვეითი ჯარი შესდგება 160 პოლკისაგან, თითო პოლკი 4 ბატალიონისაგან; ლანდვერი — 37 პოლკისაგან, პოლკში 3 ბატალიონია, ხოლო გონვედი 32 პოლკისაგან სამ-სამი ბატალიონით. ბატალიონი შესდგება ოთხი როტისაგან, რომელშიც ომის დროს 250 კაცი შედის. ქვეითა პოლკებს აქვს სანაღმო და სატელეფონო ნაწილები. ჯარი შეიარაღებულია 1895 წლის სისტემის მანლიხერის თოფით, რომლის ნიშან-ამოღება 2600 ნაბიჯამდეა. თითოეულ ქვეითა პოლკს ემატება 4 ტყვიის-მფრქვეველი შვარცლოზეს სისტემისა 10.000 პატრონით თითოზე. პოლკები ჰქმნიან ბრიგადებს, რომელშიც ორ-ორი პოლკი შედის. ცხენოსანი ჯარი შესდგება ექვს — ესკადრონიან პოლკისაგან. საიმპერიო ჯარში 42 პოლკია, ლანდვერში 6, გონვედში 10, ესკადრონში 166 ცხენოსანი და 5 აფიცერია მშვიდობიანობის დროს, ომის დროს კი 172 ხმალი. არტილერია პოლკებად იყოფება: საიმპერიო ჯარში 42 ზარბაზნის პოლკია, 14 ჰაუბიცისა (დიდი კალიბრის); ლანდვერში ორი, გონვედში 4 ჰაუბიცისა. სულ — 44 საზარბაზნო პოლკი და 18 ჰაუბიცის. თითოეულ პოლკში ორი საარტილერიო დივიზიონია, დივიზიონში ორი ბატარეა, ხოლო ბატარეაში 6 ზარბაზანი. ომის დროს თითო ზარბაზანს ეძლევა 126 ყუმბარა. არტილერია საზოგადოდ მეცნიერებისა და ტეხნიკის „უკანასკნელ სიტყვაზე“ მოწყობილი. ავსტრია გონიერად სარგებლობს ტეხნიკით. მაგ. ჯარის დამხმარე ნაწილებს შეადგენს: 23 სადგური სამხედრო მიზნისთვის გაწვრთნილი მტრედებისა, მოხალისეთა ერთი საავტომობილო კორპუსი, 7 წყება მოძრავი რკინ. გზისა, უმავთულო ტელეგრაფი, გასანათებელი მოწყობილობა და საველო სიპედო რაზმები. ფრენა ვერ არის ჯერ-ჯერობით ავსტრიის ჯარში შესაფერ დონეზე დაყენებული: ხმარობენ პარს, ვოლისა, ლებოდისა და კერტინგის სისტემის დირიჟაბლებს, შეაქვთ ეტრიხის სისტემის მონოპლანი. ჯარის მთავარ ერთეულებად ითვლება დივიზია, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს, რადგან მასში ყოველი დარგის ჯარი შედის; ხოლო უმთავრეს ერთეულად კორპუსი. დივიზიას შეადგენს: ორი ქვეითი ბრიგადა, 3 ესკადრონი ცხენოსანი, არტილერიის ერთი პოლკი, როტა პიონერებისა და ზურგის დაწესებულებანი. დივიზიის რაოდენობა ომის დროს: 16.000 ხიშტი, 450 ხმალი და 36 ზარბაზანი. კორპუსის რაოდენობა 16 განისაზღვრება; თითო კორპუსში შედის ორი საველე დივიზია და ერთიც ლანდვერისა ან გონვედის. კორპუსის საომარი ძალა შემდეგია: 40.000 ხიშტი, 1.400 ხმალი და 108 ზარბაზანი. ავსტრია-უნგრეთს შეუძლიან სულ გამოიყვანოს 695.000 ხიშტი, 59.000 ხმალი და 1868 ზარბაზანი პირველი რიგისა, ხოლო 589.000 ხიშტი, 15.000 ხმალი და 587 ზარბაზანი მეორე და მესამე რიგის ჯარისა. თუმცა ავსტრიის ჯარის ცალკე ნაწილები კარგად მოწყობილი და რიგზე გაწვრთნილია, მაგრამ მისი საერთო ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანობა მეტად სუსტია, რასაც ხელს უწყობს ჯარის სამ ნაწილად დაყოფა და უფროსთა მეტოქეობა უპირატესობისათვის. ამას გარდა, აფიცერთა უმეტესობას უბრალო ჯარის-კაცებიდან დამსახურებული პირები შეადგენენ, რომელთაც აკლიათ შესაფერი განათლება. დაუმატეთ ამას ის გარემოებაც, რომ ავსტრიის საერთო ჯარის 50% მეტს სლავიანები შეადგენენ, რომელნიც მეტწილად საზღვრებზე იმყოფებიან და თქვენთვის ცხადი იქნება ავსტრია-უნგრეთის ჯარის მთავარი სუსტი მხარე.

რაც შეეხება საზღვაო ძალას, ანუ ფლოტს, იგი მაინცა და მაინც არ არის აგრე რიგად ძლიერი. ამჟამად ავსტრიას აქვს 12 ჯავშნოსანი, რომელნიც ოთხ რიგად იყოფება ხარისხისა და შეიარაღების მიხედვით. პირველ რიგში შედიან ჯავშნოსნები: „ზრინი“, „რადეცკი“, და „ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი“, რომელნიც ააშენეს 1908—10 წელს. მათი წყალწყვა 14.600 ტონს უდრის ცალცალკე; სიჩქარე — 20½ საზღვაო მილს. თითოეულზე სდგას 38 ზარბაზანი. მეორე რიგისა, რომელიც აშენებულია 1903—05 წლების განმავლობაში: „ერცჰერცოგი მაკს-ფერდინანდი“, „ერცჰერცოგი ფრიდრიხი“, „ერცჰერცოგი კარლოსი“ თითოეული 1,600 ტონის წყალ-წყვისაა, 20 ნახ. მილის სიჩქარითა და 31 ზარბაზნით. მესამე რიგისა (1900—1902 წლ.): „ბაბენბერგი“, „არპადი“ და „ჰაბსბურგი“ 8,300 ტონის წყალ-წყვისა, 20 მილის სიჩქარითა და 33 ზარბაზნით თითოეული. და ბოლოს მეოთხე რიგი, უკვე კარგად მოძველებული (1895—96 წლ.): „ვენა“, „ოფენპოსტი“ და „მონარქი“, თითოეული 5,600 ტონის წყალ-წყვისა, რომელთა სიჩქარე არ აღემატება 17 საზღვაო მილს საათში; თითოეული შეიარაღებულია 24 ზარბაზნითა. სამი ჯავშნიანი კრეისერ: „წმინდა გიორგი“ (7.400 ტონი წ—წყვა, 22 მილი სიჩქარე და 28 ზარბაზანი); „იმპერატორი კარლოს VI“ (6.300 ტ. წ—წყვა, 20 მილი სიჩქარე და 26 ზარბაზანი); „იმპერატრიცა მარიამ-ტერეზია“ (5.270 ტ. წ—წყვა, 19 მილი სიჩქარე და 26 ზარბაზანი). აგრედვე 6 სანაპიროების დამცველი მძიმე კრეისერი, 19 მილის სიჩქარითა და 24 ზარბაზნით თითო. ამას გარდა ავსტრიის ფლოტში შედის: 6 მდინარის ნაღმოსანი (მდ. დუნაიზე), 12 კონტრ-ნაღმოსანი, 66 ნაღმოსანი და 7 წყალ-ქვეშ მავალი ნავი. საზღვაო ჯარის რაოდენობას შეადგენს მთლად: 679 საზღვაო აფიცერი, 125 ინჟინერ-აფიცერი და 14.500 ჯარის-კაცი. საზოგადოდ ავსტრია-უნგრეთის იმპერია ვერ არის შეომარი სახელმწიფო. თუ რამე შეუძენია არა ომით, არამედ დიპლომატიით, ინტრიგებითა და სხვა და სხვა სახელმწიფოს დამოყვრებით, ასე რომ ერთ დროს ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწეთა სამოქმედო დევიზად შემდეგი თქმულება იყო გადაქცეული: „შენ კი, ბედნიერო ავსტრიავ, მხოლოდ ქორწინება ჰმართე“-ო.

კოლხი:

ბალკანეთის ომი

დეპეშები

4 დეკემბერი.

საზავო კონფერენციის გახსნა.

ლონდონი. შუადღისას საზავო კონფერენცია გახსნა გრეიმ. სხდომა სენ-ჯემის სასახლეშია. სხდომას ასამდე ჟურნალისტი და ფოტოგრაფი დაესწრო. 11 საათსა და 50 წუთზე ყველა დელეგატი მოვიდა.

ვენიზილოსი ებაასა სააგენტოს კორესპონდენტს. ვენიზილოსის სიტყვით საბერძნეთი მოკავშირე სახელმწიფოთა თანხმობით ჰმოქმედებს. დღეს ოსმალებს საერთო მოთხოვნილებას წარუდგენენ. ვენიზილოსმა სთქვა: საბერძნეთმა ხელი არ მოაწერა დროებითი ზავის ხელშეკრულებას მოკავშირეთა თანხმობით. საბერძნეთი იმოქმედებს ისე, როგორც მოკავშირე სახელმწიფონი გადასწყვეტენ.

ლონდონი. პარიზიდან დაბრუნდა დანევი. ბაასი იქონია რეიტერის თანამშრომელთან. ხმები, ვითომც ბულგარეთი სამთა კავშირს უერთდება, მტკნარი სიცრუეაო, სთქვა დანევმა. ბალკანეთის სახელმწიფონი სცდილობენ ისეთი ზავი შეჰკრან, რასაც მთელი ევროპა მოიწონებსო; ამისთვის საჭიროა წინასწარი თათბირი იქონიონ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეებთან. ზავის პირობები საიდუმლოებას არ შეადგენსო. მოკავშირეთა პირველი მოთხოვნილება არის, განისაზღვროს ევროპის ოსმალეთის საზღვარი. ოსმალეთის ინტერესები მოითხოვს დაკმაყოფილდეს ჩვენ პირობას ადრიანოპოლის თაობაზე. მომავალში ოსმალეთი თავის ინტერესების დასაცავად ევროპაში უნდა ბულგარეთს დაეყრდნოს; მეორე საკითხი არის — ალბანეთის საზღვრის დადება, მესამე — ეგეის კუნძულთა ბედი, მეოთხე — სამხედრო კონტრიბუცია. ჩვენ პირველ საკითხიდან დავიწყებთო, სთქვა დანევმა; თუ ოსმალეთი დაგვეთანხმება, შემდეგ საკითხზე გადავალთ და თუ არა მოლაპარაკება შეწყვეტილი იქნებაო.

ლონდონი. საზავო კონფერენცია. გრეიმ მისასალმებელი სიტყვით მიჰმართა დელეგატებს. გრეის შესთავაზეს საპატიო თავმჯდომარეობა გრეი დასთანხმდა. დელეგატებმა დაადგინეს გადაიდოს სხდომა 4 დეკემბრამდე, სანამ დელეგატები რწმუნებულებს შეამოწმებდნენ. სხდომებზე თავმჯდომარეობა რიგ-რიგობით იქნება. ითავმჯდომარებენ დელეგაციების უფროსი წარმომადგენელნი. გრეიმ მიჰმართა ფრანგული ენით დელეგატებს, გადასცა მეფის სალამი და გამოსთქვა იმედი, რომ დელეგატები ინგლისში ჰპოვებენ სიმშვიდეს და მიუდგომლობას. უსურვა ნაყოფიერი მუშაობა. გრეის უპასუხა დანევმა და მადლობა გადაუხადა კეთილ მასპინძლობისთვის.

ლონდონი. ოსმალეთის და ბალკანეთის სახელმწიფოების დელეგატთა შეხვედრა ფრიად თავაზიანი იყო. სხდომის დროს ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი კონფერენციაში ბერძენთა დელეგატების მონაწილეობის თაობაზე.

სოფია. დღევანდელ დღემდე ადრიანოპოლზე გაიარა რამდენიმე ბულგარეთის მატარებელმა, დატვირთულმა სანოვაგე სურსათით.

სერბიის სამხედრო ნადავლი.

ბელგრადი. ოფიციალი ცნობით სერბიის სამხედრო ნადავლს შეადგენს: 2.130,000 თოფი, 40 მილიონი პატრონა, 308 სწრაფი სასროლი ზარბაზანი. 500,000 ახალი სამოსელი.

გაზეთებიდან.

ოსმალეთის ფლოტი.

სტამბოლიდან იუწყებიან: მთავრობის წრეებში ხმები დადის, რომ ოსმალეთის ფლოტი გავიდა სრუტეებიდან და დარდანელთან შეება საბერძნეთის ფლოტსაო. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის.

ნაღმოსნის დატყვევება.

ოსმალური წყაროებიდან იუწყებიან: ოსმალთა ესკადრა ბაზეკის ყურეში მისწვდა საბერძნეთის ერთ ნაღმოსანს, რომელსაც გემი მიჰყავდა სათრევით. ოსმალებმა სროლა აუტეხეს მას, დაატყვევეს და დარდანელში მოიყვანესო.

გარიბალდიელები.

ათინიდან ცნობაა: გარიბალდიელების რაზმმა ფიცხელი იერიში მიიტანა ოსმალთა სიმაგრეებზე დაბა დრისკოში, იანინის ახლოს. დაწვრილებითი ამბავი ჯერ არ მოსულა.

სკუტარის ალყა.

ქ. სკუტარის კომენდანტმა არ მიიღო ჩერნოგორელების პარლამენტერები, რომელთაც დროებითი ზავის ამბავი უნდა შეეტყობინებიათ ოსმალებისათვის. მან განაცხადა: სანამ პირდაპირ სტამბოლიდან არ მივიღებ ცნობას, ბრძოლას არ შევსწყვეტო. ასე რომ, თუმცა დროებითი ზავი ჩამოვარდნილია, მაგრამ სკუტარის გარშემო კი ისევ სწარმოებს ბრძოლა. 28 ნოემბერს ტარაბოშის მთიდან, ბრდინიდან და სკუტარის ციხიდან ოსმალებმა სროლა აუტეხეს ჩერნოგორელების პოზიციებს. ჩერნოგორელებმაც უპასუხეს და მალე ჩააჩუმეს მტრის არტილერია.

სამთა შეთანხმება და ბალკანეთის კავშირი.

პარიზიდან იუწყებიან: ბალკანეთის კავშირის წარმომადგენლებთან ბაასის დროს პუანკარემ გადაჭრით განუცხადა მათ, რომ სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა დახმარებას ბალკანეთის კავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ მოკავშირენი თანხმობითა და ერთობით იმოქმედებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამთა შეთანხმების სახელმწიფოები თავისუფალ მოქმედების უფლებას დაიტოვებენო.

ბულგარეთის შიში.

სოფიაში უნდობლად უცქერიან ლონდონის კონფერენციას, რადგან ჰფიქრობენ, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის უეჭველად უთანხმოება ჩამოვარდება. ყოველ შემთხვევაში მოკავშირენი დათმობის გზას არ დაადგებიან. უწინარეს ყოვლისა აღიძრება საკითხი საზღვრებისა და კერძოდ ადრიანოპოლის შესახებ. თუ ოსმალები გაჯიუტდებიან, მოლაპარაკება შესწყდება, როგორც უმიზნო.

სერბიის მოთხოვნილება.

პაშიჩის კაბინეთს მხარი დაუჭირეს მლადორადიკალებმა და პროგრესისტებმა, რომელნიც მოითხოვენ, რომ სერბიამ ერთი მტკაველიც კი არ უნდა დაუთმოს ოსმალებს სერბიელებით დასახლებულ ადგილებიდან, რადგან ასეთი საქციელი არ შეეფერება თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს. იმ დაპყრობილ ადგილებში კი, სადაც სერბიელები არ მოსახლეობენ, თავისუფალი პლებისციტი (შეკითხვა) უნდა მოხდეს, რათა გამოირკვეს, ვის ხელში უნდა დარჩენა ხსენებულ ქვეყნებს. ამის გარდა, სერბიის უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენს ადრიატიკის ზღვაზე გასვლა, რომლის მისაღწევადაც სერბია არავითარ მსხვერპლს არ მოერიდება.

ბერძნები და ბულგარელები.

სოფიიდან იუწყებიან: ბერძნებსა და დანარჩენ მოკავშირეთა შორის სრული თანხმობა დამყარდა. განკერძოებულ ბრძოლას, რომელსაც ბერძნები ეწევიან, საერთო საქმის სასარგებლოდ სთვლიან.

ქიამილ-ფაშის ბარათი

ბერლინიდან ცნობაა: ოსმალეთის მთავრობა რწმუნებულმა, რეშიდ-ფაშამ ინგლისის მეფეს ქიამილ-ფაშის წერილი გადასცა რომელშიაც დიდი ვეზირი ემუდარება მეფე გეორგს: დახმარება გაგვიწიეთ, რათა ოსმალეთს თავიდან ავაშოროთ დანაწილებაო.

ოსმალეთის გადაწყვეტილება.

ლონდონიდან იტყობინებიან: ოსმალეთმა მტკიცედ გადასწყვიტა ადრიანოპოლის შენარჩუნება. ოსმალეთის რწმუნებულებს ამის შესაფერისი ინსტრუქციები მოუვიდათ. ისიც არ არის კარგი ნიშანი, რომ ოსმალეთი ყოველ დღე ჰგზავნის ჯარს მცირე აზიიდან. შესაძლებელია მოლაპარაკება მალე შესწყდეს.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

პროხასკის საქმე.

ვენა. „კორესპონდენც. ბიურო“ იტყობინება: პროხასკის საქმე გაირკვა. საბედნიეროდ გამოირკვა, რომ პროხასკი სრულიად არ ყოფილა სერბიელების მიერ დაპატიმრებული და არც შეურაცხყოფა მიუყენებიათ მისთვისო.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს ნაციონალისტთა ფრაქციამ საზავო კონფერენციის გახსნის გამო მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ჩერნოგორიის სკუპშჩინას, ბულგარეთის და სერბიის სახალხო კრებას და საბერძნეთის დეპუტატთა პალატას.

გაზეთებიდან

საფრანგეთის წუხილი.

ავსტრიის გაძლიერებული საომარი სამზადისი დიდად აფიქრებს პარიზის საზოგადოებას. პრესის აზრით, ასეთი მზადების სარჩული მხოლოდ უშინაარსო მუქარა როდია. ჰფიქრობენ, რომ მოახლოვდა დრო, როდესაც ავსტრია გადასდგამს უკანასკნელ ნაბიჯსო.

ავსტრია და სერბია.

გავრცელებული გაზეთი „პესტი ჰირლაპ“ პროხასკის ინციდენტის შესახებ სწერს: „ავსტრია მოითხოვს, რომ სერბიის მეფემ ბოდიში მოიხადოს თვისი წარმომადგენლების პირით, ხოლო სერბიის ტახტის მემკვიდრე პირად უნდა მივიდეს კონსულ პროხასკასთან საბოდიშოდ“.

ავსტრიის საომარი სამზადისი.

ლვოვიდან იუწყებიან: მთელს გალიციაში საჩქაროდ გაჰყავთ ტელეფონი ჯარის საჭიროებისათვის. რკინის გზის სადგურებზე აკეთებენ იარაღების საწყობს სათადარიგოთა და რკინის გზების მოსამსახურეთა შესაიარაღებლად. ომის მოლოდინით გამოწვეულმა შიშის ზარმა სრულიად დასცა ვაჭრობა-მრეწველობა. სასამართლოები განგებ აგვიანებენ კონტრობის საქმეთა გარჩევას, რომელიც დღითი-დღე იზრდება. ახლახან შემოღებული სამხედრო ცენზურა მრავალ დეპეშასა სპობს. აკრძალულია ცნობის გაგზავნა ეკონომიურ კრიზისის შესახებაც კი. ცენზურა იმდენად მუყაითად მუშაობს, რომ უვნებელი ხასიათის დეპეშასაც კი არ უშვებს, თუ შიგ მოხსენებულია სიტყვები: „მდგომარეობა სერიოზულია“, „მომენტი უნუგეშოა“ და სხვ.

დიდი სახელმწიფოების გადაწყვეტილება.

პეტერბურგიდან „რუსკოე სლოვოს“ ატყობინებენ: დიდი სახელმწიფოები ანგარიშს უწევენ ავსტრია-სერბიის ომის შესაძლებლობას და მოლაპარაკება აქვთ გამართული საომარ ასპარეზის შემოფარგვლის შესახებ, რათა ომის ცეცხლი ევროპას არ მოედოს. მათ პრინციპიალურად გადასწყვიტეს, რომ დასაწყისშივე ბოლო მოუღონ ავსტრია-სერბიის ომს დიდ სახელმწიფოთა ენერგიულის ჩარევით.

ჩეხელების უნდობლობა.

ლვოვიდან იუწყებიან; მცოდნე პირები ამტკიცებენ, რომ ჩეხიის პოლკებს ახლო მომავალში „გასწმენდენ“ შეამბოხე ელემენტებისაგან. ჯარისკაცებს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებში შეურევენ, ხოლო აფიცრებს სხვა და სხვა ადგილს გადაიყვანენ.

ხორვატიის ბატალიონის აჯანყება.

ბელგრადიდან ცნობაა: სარაევოდან (ბოსნიაში) იუწყებიან, რომ აჯანყდა მე-53 ბატალიონი, რომელიც ხორვატელებისაგან შესდგება. დახვრიტეს 17 ჯარისკაცი. ხორვატიაში მღელვარება.

სერბიის სამზადისი.

გაზ. „სტამპა“ იუწყება: პაშიჩი რუსეთის საელჩოს მდივნის თანხლებით უსკიუბს წავიდა სამხედრო პირებთან სამზადისის თაობაზე სათათბიროდ.

ბულგარეთის დახმარება.

ვენიდან ცნობაა: სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთმა განუცხადა ავსტრიას: ავსტრია-სერბიის ომის დროს სერბიის მხარეს დავიჭერო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

4 დეკემბერი

კუჯა. გენერალი იანტულინი 300 ცხენოსანით კაშგარში წავიდა.

კაარბრიუკენი. პროფესიანულ კავშირთა საოლქო კონფერენციამ გადასწყვიტა 2 იანვრიდან გაფიცვა მოახდინოს.

ბერლინი. გალეში გაიფიცნენ სტუდენტ-მედიკები. ისინი მოითხოვენ შეზღუდონ გერმანიის უნივერსიტეტში უცხო ტომელთა მიღება. სტუდენტებმა გერმანიის ყველა უნივერსიტეტს წინადადებით მიჰმართეს გაფიცვას მიუდგნენ.

რენტო. სამგზავრო და საქონლის მატარებელნი სადგურ სოტევგინ გეზე ერთმანეთს დაეჯახნენ. დაჭრილია ბევრი მგზავრი.

პარიზი. ფალიერიმა მიიღო როალდ ამუნდსენი. ამის შემდეგ ამუნდსენი დაესწრო ქალაქის თვითმართველობის სხდომას.

რუსეთი

პეტერბურგი. ოქტომბრისტებმა სათათბიროში შეიტანეს ხელმეორედ კანონ-პროექტი საყოველთაო სწავლის შემოღების თაობაზე.

ჰელსინფორსი პეტერბურგში გაიგზავნა ვიბორგის მოფგერიხტის დაპატიმრებულ წევრთა მეოთხე პარტია.

პეტერბურგი. სენატის სხდომებზე დასასწრებლად დანიშნეს სახელმწიფო ცხენთა მომშენებელ ქარხნის გამგე გენერალ-ლეიტენანტი ზდანოვიჩი და სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრი ბირკინი.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა პეტერბურგის საოლქო სასამართლოს დადგენილება, რომლის ძალითაც „რეჩ“-ის რედაქტორს გადაწყვეტილი ჰქონდა სამი კვირის ციხე, თანამშრომელ ლვოვს ორი თვისა, „რუსკოე ზნამიას“ რედაქტორს თვე-ნახევარი ციხე.

უცხოეთი

ბავარიის პრინც-რეგენტი ლუიტპოლდი.

გარდაიცვალა ბავარიის პრინც-რეგენტი ლუიტპოლდი. რეგენტი 92 წლისა იყო. ბავარიას 26 წელიწადს განაგებდა. იგი იყო მეორე შვილი ლიუდვიგ პირველისა. 1835 წ. სამხედრო სამსახურში შევიდა 1866 წ. პრუსიასთან ბრძოლის დროს, ლიუტპოლდი დივიზიას უფროსობდა. შემდეგ ბავარიის ჯარის გენერალ-ინსპექტორად დანიშნეს. 1870—1871 ლიუტპოლდი იმპერატორ ვილჰელმის მთავარ სასახლეში იყო. სახელმწიფო საქმეებში ლიუტპოლდი თითქმის არ ერეოდა 1886 წლამდე. 1886 მისი ძმისწული—მეფე ლიუდვიგ მეორე, ავად გახდა და ლიუტპოლდი იძულებული იყო ბავარიის რეგენტობა ეკისრნა. ლიუდვიგ მეორეს სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა ლიუტპოლდის ძმა ოტონი, მაგრამ ისიც ავადმყოფი იყო. ლიუტპოლდი რეგენტობას იმის დროსაც განაგრძობდა. რეგენტობის დროს თავაზიანის ქცევით დაიმსახურა საერთო პატივისცემა. 1901 წელს შესრულდა მისი დაბადების 80 წლისთავი. ხალხის სიყვარულმა და პატივისცემამ ამ დღესასწაულში იფეთქა და რეგენტს ერთგულება გამოუცხადა. ამ ბოლო დროს ხშირი მითქმა-მოთქმა იყო ლიუტპოლდის მეფედ აღიარებისა: მაგრამ თითონ ლიუტპოლდი არ იზიარებდა ამ აზრს.

რუსეთი

ვიბორგის გოფგერიხტის წევრთა დატუსაღება.

პეტერბურგში მოიყვანეს ვიბორგიდან დატუსაღებულნი წევრნი ვიბორგის გოფგერიხტისა. მათ ჰბრალდებათ გამათანასწორებელ კანონის წინააღმდეგ ურჩობა. დატყვებულნი არიან—სოვეტნიკი ნორდგენი და ფორსმანი, ასესორი ბრამსი და ფაგერსტერი და სასამართლოს შედგენილების შესავსებად გაგზავნილნი ნეოვიური და სავსენი.

გოფგერიხტი არის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო. იგი თავის უფლებითა და მდგომარეობით ეთანაბრება რუსეთის სამოსამართლო პალატას ფინლიანდიაში. სამი გოფგერიხტია: აბოში, ვაზაში და ვიბორგში. გოფგერიხტის წევრები (მსაჯულნი) უმაღლესი ბრძანებით ინიშნებიან, ასესორები კი სენატის წარდგენით. გოფგერიხტის მსაჯულნი არ იცვლებიან, მათ დიდის მოწიწებითა და ნდობით ეპყრობა ხალხი. მოსამართლეთ შეპყრობამ და დარაჯებით გაგზავნამ პეტერბურგში ფრიად დიდი მღელვარება გამოიწვია არა მარტო ვიბორგში, არამედ მთელ ფინლიანდიაში.

მათი საქმის გამოძიება მიანდეს გამომძიებელს იურევიჩს. ჩვენება გოფგერიხტის არც ერთმა წევრმა არ მისცა,

ყველას მოსთხოვეს გირაოდ 1,000 მანეთი, რის შეტანის შემდეგაც გაანთავისუფლეს ყველანი საქმის გარჩევამდე. ნორდგენმა პრინციპის მოსაზრებით გირაო არ შეიტანა. იგი სატუსაღოში გაგზავნეს.

თეატრი და ხელოვნება

ავლაბრის თეატრი (მეზუროვისა) შაბათს, 1 დეკემბერს, ხარფუხის ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ ბ. ს. პეპანოვის რეჟისორობით, წარმოიდგინა ბ-ნ გედევანიშვილის **„მსხვერპლი“.** ქ. ან. კავთელი, ასრულებდა „ნატოს“ როლს. ახალგაზდა სცენის მოყვარემ თავისი როლი უნაკლოდ გადმოგვცა და ხალხი ახტაცებაში მოიყვანა. ბ. ჯანველოვი (გიგუა) ცოტა რომ ხმას არ ეღალატნა უფრო კარგი იქნებოდა. ბ. ყანაველმა, დინჯად და დარბაისლურად შეასრულა (გაბოას) როლი, ბევრს მოჰგვარა თვალებზე ცრემლი. ბ. მირველოვმა (საქო) გადააჭარბა ყვირილით და უადგილო ადგილას სიტყვების ჩამატებით. ქ. მეხუზლაის, უფრო უკეთესი იქნებოდა (მარიამის) როლში რომ გრიმი შესაფერი ჰქონოდა. კარგები იყვნენ: ქ. ს. გოგაშვილისა, (ბარბარე) ბ. ქსენაფანტოვი (მამასახლისი) ბ. ძამიაშვილი (სოლომონი), სუსტობდნენ სხვანი. ბ. რეჟისორის ხელი და უნარი ეტყობოდა. **ფრანგი.**

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვისტამბოთ ეს სამადლობელი წერილი.

ქართულ გიმნაზიასთან არსებულ ღარიბ მოწაფეთა უფასო სასადილოს სასარგებლოდ შემოსწირეს: ქ-ნმა ნ. რ. ბაქრაძისამ 25 მან. წ. გ. მაჭარაშვილმა 3 მ. ქ-ნ კლავდია ვასილის ასულ ადრიანოვმა 5 მ. და ე. რ. სიდამონოვ-ერისთავმა—3 მ. რისთვისაც ყველა ზემოხსენებულ პირთ ულრმეს მადლობას უცხადებს სასადილოს **გამგეობა.**

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით, ვაუწყოთ საზოგადოებას შემდეგი: ამ ბოლოს დროს გამრავლებულ 3, 5 და 8 კაცისაგან შემდგარნი გუნდნი, რომელნიც ქულაჯებში გამოწყობილნი, ხშირად გალობენ ეკლესიებში, მიცვალებულების გაძღოლაში, მღერიან ხალხურ სიმღერებს წარმოდგენებზე სასიმღერო პიესებში, და ბევრსაც ჰგონიათ და დარწმუნებულნიც არიან, ვითომც იგინი ჩვენი ამხანაგობის მომღერალ-მგალობელნი იყვნენ. ამიტომ ტფ. ქართ. საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა. გუნდის (მიხ. კავსაძის ლოტბ.) გამგეობას აქვს პატივი აუწყოს საზოგადოებას, რომ იმათ ჩვენს გუნდთან არავითარი ერთობა და კავშირ-დამოკიდებულება არა აქვთ. ჩვენის აზრით, ქართული გუნდი უნდა შესდგებოდეს არა ნაკლებ 25 კაცისაგან, რადგანაც ქართულ სიმღერა-გალობისათვის საჭიროა გვარიანი ძალა, და პატარა გუნდით, და მერე ისეთ სუსტ და გაუწურთვნელ ხმებით, როგორებიც ეხლა მოგვევლინებიან საზოგადოდ, ვერას დროს ვერ მოახდენს მსმენელზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რაც იწვევს ზოგიერთ მცოდნე და არა მცოდნე მუსიკის პირებში ზიზღს სამხმიან ქართულ სიმღერა-გალობისადმი.— პატარა გუნდით, ან რამოდენიმე კაცით ნამდვილ ქართულ სიმღერა-გალობის შესრულება, შესაძლებელია, მხოლოდ შესანიშნავ და ქართულ ბუნებრიულ ხმებით.—მაინც და მაინც, დიდად სასურველი იქნებოდა, რომ ყველა გუნდის ხელმძღვანელით, სულ მუდამ გამოეცხადებინოთ ხოლმე თავიანთი ვინაობა, როდესაც-კი სადმე მონაწილეობენ თავიანთ გუნდით.

ვსთხოვთ, სხვა ქართულ და რუსულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი ქართველ ლოტბარების და პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ტფ. ქართ. საამხანაგო მომღ.-მგალობელთა გუნდის **გამგეობა.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს
ფერდ. მიულჰენსი
კოლოფი 30 კაპ. ✦ პარფიუმერია № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.

№ 4711 Fettpuder

Метцль 309266 309286
1434.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 б, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 б, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისსა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.** და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს. 58 წ.
№ 2. **პარასკევს** შუადღის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამშ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაიაკნის მოედანზე.

ხეხილის ბაღები
ქართლის საუფლისწულო მამულისა,
სივრცით ორმოც დღიურამდე, საუკეთესო ზამთრის ჯიშის მსხალი და ვაშლებისა, რვა ვერსის მოშორებით სადგურ ქანიდან, ამიერ კავკასიის რკინის გზისა, და ორმოც ვერსზე ქალაქ ტფილისიდან საქართველოს სამხედრო გზითა
იჯარით უნდა გაიცეს
სამის წლის ვადით, 15 ქრისტეშობისთვესა ამა წლისა, დილის 12 საათზე, ხსენებულ მამულის კანტორაში, სოფელ მუხრანში სტანცია ქსანკა, ამ. ვ. რ. გ.
ცნობების მიღება შეიძლება ამ მისამართით: სადგური ქსანკა, ამ ვ. რ. გ. 842

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ —11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. ბგახარიძე: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელ.სა.
მ. გ. ბეკტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საავადმყო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ბეკტიხიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთ ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370.
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ექიმების მიერ:	დილით:
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილთ.	სპექტიორი გ. მ. . . .	8½—9½ ს.
	გაზაზოვი ა. ა. . . .	10—11 ს.
	იაშვილი ა. ო. . . .	11—12 ს.
	აბაკელია ი. კ.	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ. . . .	12½—1½ ს.
[illegible] სნეულებანი:	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა. . . .	12—1 ს.
	ჯაში ი. ი. . . .	9½—10½ ს.
[illegible]	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12 ს.
[illegible]	ექ.-ქალ. საყვარელიძე დ. გ.	11—12 ს.
	ლოლობერიძე . . .	12½—1½ ს.
[illegible]	შტრეიხერი მ. ა. . . .	12 12½ ს.
[illegible]	შაპელნიკოვი გ. ი. . . .	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში. ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

განცხადება.

ამით ვაცხადებთ, რომ რწმუნებულება (довѣренность), რომელიც ჩვენ, გიორგი და ანტონ მარკოზის ძე ქურციკიძეებმა, მივეცით ჩვენს ძმას ზაქარია მარკოზის ძე ქურციკიძეს და რომელიც შემოწმებული იყო 1911 წლის 8 ივლისს სურამის ნოტარიუს მაჭავარიანთან № 452 რეესტრით, ამ ჟამად გაუქმებულია.

ამ გარემოებას ამოწმებს ტფილისის ნოტარიუსი ალექსანდრე ივანეს ძე მიტკევიჩი 1912 წელს 4 დეკემბერს № 28699 რეესტრით. 845

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას,
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მემონრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება საყმაწვილო წიგნები.

ამოდის ნათდება. ვაჟასი . .	15 კ.	სამი საყმაწვილო ამბავი ვაჟასი	15 „
ბუს თავ-გადასავალი, სურათებით	30 „	სამი ცელქი შ. მღვიმელისა .	15 „
კეთილი ძაღლი	20 „	ძუნწი და ნატვრა, მისივე .	10 „
ლაზარილიო	10 „	ხუმარა სპილოები დასურათებული	20 „
ლომ-კაცი გ. წერეთლისა	25 „	სამშობლოს ბუნების სარკეყდით	40 „
მეფე ლამზა	7 „	სამი მოთხრობა ს. ყიფიანისა	5 „
მურია. თ. რაზიკაშვილი . .	5 „	სვიის გვირგვინი შმიდტისა .	15 „
მტრედი. შმიდტისა	10 „	ღვთის წყალობა გ. წერეთლისა	20 „
ნახატებიანი საყმაწვილო მოთხრობანი	30 „	უცნაური თაიგული (8 არაკი)	10 „
პაწია და ბუნგლია	25 „	ორი მხატვარი, მოთხრობა ნაკადულის გამოცემა . . .	15 „
პატარა ჩონგური	5 „		
რობინზონ კრუზო	30 „		

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი,
და ყოველგვარი
✦ შავი ხიზილალა ✦

ახალი ჟურნალი
„განთიადი“
1913 წლის პირველ იანვრიდან
ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველ-თვიური ჟურნალი
„განთიადი“
ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთის მეტყველება და ფილოსოფია: 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4) მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ეღირება წლიურად 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურად 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთად და 10 შაურად ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდგანვე ქ. ქუთაისში ი. კვიცარიძის გაზეთების კანტორაში, მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.
რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.
1615 რედაქტორ-გამომცემელი მღ. ს. მჭედლიძე.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.